ავტობიოგრაფია

სახელი, გვარი: მარიანა ფომაევა

დაბადების თარიღი, ადგილი 1992 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი

განათლება:

2010 წელს დავამთავრე ქ. თბილისის კერძო სკოლა „ლაშარი".

2010-2014 წლებში სრული სახელმწიფო დაფინანსებით ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე და მომენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2014 წელს სწავლა განვაგრძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 2016 წელს და მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

2013-2014 წლებში სტაჟირება გავიარე საადვოკატო ბიუროში „წირქვაძე და კუპატაძე"

2015 წლის იანვრიდან ვმუშაობდი შპს „ტვინოში", თავდაპირველად საქმისმწარმოებლად, შემდგომ იურისტის თანაშემწედ, ხოლო 2016-2017 წლებში ამავე კომპანიის საქმისწარმოების უფროსად და იურიდიული განყოფილების ჯგუფის უფროსის პოზიციაზე.

2018 წლის ივნისიდან 2023 წლის ივლისამდე ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საბჭოს წევრის რეფერენტის პოზიციაზე. აგრეთვე, ვიყავი 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი განხორციელების (იმპლემენტაციის) 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო, მე-4 სამუშაო ჯგუფის (სასამართლოს ხელმისაწვდომობა) კოორდინატორი.

2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ნოემბრამდე ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

დამატებითი განათლება და პროფესიული წვრთნა:

გავლილი მაქვს არაერთი პროფესიული ტრეინგი და სემინარი, მათ შორის ვესწრებოდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და სხვა დონორი ორგანიზაციების (PROLoG, OHCHR, ევროკავშირი, ევროპის საბჭო) მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. ვარ მართლმსაჯულების ზამთრის სკოლის (2019 წ.) მონაწილე და ერთ-ერთი გამარჯვებული.

ტრენინგები/სემინარები:

აპრილი/2023 - Trauma-Informed Interviewing - OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights

იანვარი/2023 - რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

დეკემბერი/2022 - გენდერული ზეგავლენის შეფასება (TOT)

თებერვალი/2020 - კომუნიკაციის სტანდარტები

სექტემბერი/2019 - რადიკალიზაციის პრევენცია (HELP, სტრასბურგი, საფრანგეთი)

ივლისი 2019 - პროფესიული წერა და საქმიანი კომუნიკაცია

თებერვალი/2019 - მართლმსაჯულების ზამთრის სკოლა

დეკემბერი/2018 - თებერვალი/2019 - სამართლებრივი წერა და მართლწერა

დეკემბერი/2018 - მხარდამჭერის ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალში - გამოწვევები

დეკემბერი/2018 - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სასამართლო რეფორმასთან მიმართებით

ნოემბერი/2018 - ქალ მოსამართლეთა როლი სასამართლო სისტემაში - კონფერენცია

ივნისი/2016 - ივლისი/2016 - მართვის თანამედროვე სტანდარტები („მართვის აკადემია" ალექსანდრე ჯეჯელავა, ქეტევან ტყავაძე)

2023 წლის 18 მარტს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.

<u>ენების ცოდნა:</u>

ქართული - მშობლიური;

რუსული - თავისუფლად;

ინგლისური - კარგად.

მარიანა ფომაევა

თარიღი: 11.11.2024 წელი